4.2. **„აბონენტი" ვალდებულია:**

4.2.1. სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება".

4.2.2. „მომსახურების" მიღების უფლების მისამე პირთა გადაცემის შესახებ წერილობით შეატყობინოს „კომპანიას".

4.2.3. „მომსახურების" მიწოდების ადგილად რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისების ან/და უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტის შემთხვევაში, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს „მომსახურებით" სარგებლობის უფლების გადაცემა უძრავი ქონების ახალ მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე (რომელიც „აბონენტს" ჩაენაცვლება წინამდებარე „ხელშეკრულებაში"), ან/და წერილობით მოითხოვოს „კომპანიას" „მომსახურების" მიწოდების მისამართის ცვლილება ან „მომსახურების" მიწოდების შეწყვეტა ამ „ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად;

4.2.4. 30 დღით ადრე აცნობოს „კომპანიას" მისთვის არასასურველი „მომსახურების" შეზღუდვის შესახებ.

4.2.5. აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების" პაკეტი.

4.2.6. შეატყობინოს „კომპანიას" დაზიანების შესახებ.

4.2.7. უზრუნველყოს შესაბამისი პირობები და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს „კომპანიას" „მომსახურების" მოსაწყობად აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად.

4.2.8. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები.

4.3. **„კომპანია" უფლებამოსილია:**

4.3.1. მოსთხოვოს „აბონენტს" „მომსახურების ღირებულების" გადახდა და „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.

4.3.2. „აბონენტის" მიერ „ხელშეკრულების" 4.2.2. და 4.2.3. პუნქტებით განსაზღვრული პირობის გამოუყენლობის შემთხვევაში, მოსთხოვოს „აბონენტს" მიღებული „მომსახურების" საფასურის გადახდა და მის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, „ხელშეკრულების" შესაბამისად განახორციელოს „მომსახურების" შეზღუდვა ან/და შეწყვეტა.

4.3.3. „აბონენტის" მიერ 4.2.7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება".

4.3.4. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

4.4. **„აბონენტი" უფლებამოსილია:**

4.4.1. „კომპანიისათვის" 30 დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეყობინეგბის საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება";

4.4.2. მოსთხოვოს „კომპანიას" „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

4.4.3. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

5. „მომსახურების" მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობები

5.1. „აბონენტის" მიერ „მომსახურების ღირებულების" დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, „კომპანია" უფლებამოსილია შეუზღუდოს ან/და შეუწვიტოს „აბონენტს" „მომსახურება" „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ "რეგლამენტის" (შემდგომში „რეგლამენტი") შესაბამისად.

5.2. ნებისმიერი „მხარე" უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება" 30 დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მეორე „მხარე" მნიშვნელოვნად არღვევს ამ „ხელშეკრულების" პირობებს და თუკი ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება „მხარის" მიერ მეორე „მხარისათვის" შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღის განმავლობაში.

5.3. ნებისმიერი „მხარე" უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება" იმ შემთვევაში თუ ა) „მხარე" გახდება გადახდისუუნარო და ბ) „მხარის" მიმართ აღიძვრება გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის პროცედურა.

5.4. წინამდებარე „ხელშეკრულების" ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას „აბონენტი" ვალდებულია 30 დღის განმავლობაში სრულად აუნაზღაუროს „კომპანიას" მის მიერ მიღებული „მომსახურების" ღირებულება.

6. დაზიანების აღმოფხვრის პირობები და ვადები, „მომსახურებასთან" დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა

დაზიანების აღმოფხვრა და „მომსახურებასთან" დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა ხორციელდება „რეგლამენტში" მოცემული ვადების და პირობების შესაბამისად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მიუხედავად ამ „ხელშეკრულების" სხვა დებულებებისა, „მხარეები" თანხმდებიან, „კომპანიის" პასუხისმგებლობის (რაც მოიცავს, მაგრამ არ შეიზღუდება პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზიანს, ზარალს ან/და პასუხისმგებლობას)